სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04198

ქ. თბილისი 17 აპრილი 2018

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო თანამდებობის

დაკავების მიზნით გამოცხადებული კონკურსისათვის საკონკურსო კომისიის შექმნის

შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის №7 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები, ინსტიტუტები (ცენტრები), სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მიზნით გამოცხადებული კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიების შექმნის მიზნით, დაჯგუფდეს ქვემოთ მოცემული სახით:

I ჯგუფი

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვლ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი;

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვანტური ფიზიკის და საინჟინრო ტექნოლოგიების ინსტიტუტი;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი „ტექინფორმი";
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტი „ტალღა".

II ჯგუფი

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტი;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი.

III ჯგუფი

- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის ინსტიტუტი;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოტექნოლოგიების ცენტრი;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი.

2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, ინსტიტუტების (ცენტრები) სამეცნიერო თანამდებობის დაკავების მიზნით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას კომისია ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული შემადგენლობით;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**